საქართველო უძველესი დროიდან ჩართული იყო დიდ მსოფლიო ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობებში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოში აღმოჩენილი არაერთი არტეფაქტი. გოხებში (თეთრიწყაროს რაიონი) ნაპოვნი საბრძოლო ეტლი მიანიშნებს, რომ ხეთების, ეგვიპტელებისა და ასურელების საბრძოლო ხელოვნებას ქართულ სამყაროშიც კარგად იცნობდნენ. ეს აღმოჩენა პირდაპირი დასტურია იმისა, რომ უძველესი დროიდან საქართველოში სამხედრო საქმეში აქტიურად იყენებდნენ ცხენშებმულ მსუბუქ ეტლებს.

ქართულ სამყაროს იცნობდნენ სხვა ცივილიზაციებიც. უკვე ძველ პერიოდში გამოიკვეთა საქართველოს მნიშვნელობა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეხვედრის ადგილი.

9 789941 889301

26.11.7.1.1

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

# მსოფლიოს ისტორია 7

## მოსწავლის წიგნი

## პირველი ნაწილი

